თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2785931

ნომერი: AR1429629

თარიღი : 05.08.2016

გაცემის თარიღი : 19.08.2016

გაცნობის თარიღი : 19.08.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ფერდობი ნუცუბიძე , მიკრო/რაიონი III , (ნაკვეთი N25/62) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი გორდეზიანი პ/ნ 62001000795
- სოხუმი ფილიას ქ. N 58

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1429629 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, III მ/რ-ში #01.14.02.025.062 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე წარმოების დაწყების შემთხვევაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.
პასუხად გაცნობებთ, რომ 2015 წლის 17 ივნისს AR1311035 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა

მოქალაქე შალვა გელაშვილმა და მოითხოვა კოტექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა. 2015 წლის 4 აგვისტოს #2048802 ბრძანების თანახმად შეთანხმდა ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობის III მიკრორაიონში ნაკვ 25/62 თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ (#01.14.02.025.062) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
2016 წლის 28 ივლისის AR1427104 ელექტრონული განცხადებით სამსახურს კვლავ მომართა მოქალაქე შალვა გელაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისში, ნუცუბიძისა და გამრეკელის ქუჩების გადაკვეთასთან, ნუცუბიძის ფერდობის III მიკრორაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: #01.14.02.025.001, #01.14.02.025.063, #01.14.02.025.062), მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმება, რომლის საფუძველზეც სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.
თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.
თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (tas.ge) მეშვეობით ინტერაქტიული რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული ობიექტის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.